პარტიტარებო შველა ქვეყნისა, შეეკრთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
18
აგვისტო
1937 წ.
№ 188 (4989)

ერეკლე II-ის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური სალამი სტალინურ შევარდნებს, ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მამაც მფრინავებს, საფრენოსნო ტექნიკის მწვერვალების დამპყრობთ!

ამხანაგები **სტალინი** და **ვოროშილოვი** საბჭოთა კავშირის გმირებთან ამხ. **ბაიდუკოვთან** და **ბელიაკოვთან**.

ფოტო—„სოიუზფოტოსი“

სიმამაცისა და მაღალი საავიაციო ტექნიკის ღირსანული

ავიაციის დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები ცხადჰყოფენ თავის ყურადღებასა და სიყვარულს მშობლიური ავიაციისადმი — მსოფლიოს მძლავრ ბურჯისადმი, კულტურისა და ეკონომიური პროგრესის მამოძრავებელისადმი.

ჩვენი სახელოვანი ავიაცია, მის ადამიანთა უშიშროება და სიმამაცე შეესაბამება სტალინური ეპოქის სულისკვეთებას. აი რატომ არის, რომ სსრ კავშირის ხალხებს უყვართ ავიაცია, აი რატომ არის, რომ საავიაციო სპორტი ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. აეროკლუბები და საავიაციო სკოლები ათასობით განცხადებებს ღებულობენ ახალგაზრდა მუშებისა და მუშა-ქალებისაგან, კოლმეურნეებისა და მოწაფეებისგან. ახალგაზრდობა ზეავით მიდის აეროკლუბებში, რომ ფრენა ისწავლოს.

ჩვენმა საავიაციო სპორტმა გასაოცრად მოკლე ვადაში მიაღწია უდიდეს გაქანებასა და მასობრიობას. არ მოიპოვება ისეთი რესპუბლიკა, ოლქი, მხარე, სადაც აეროკლუბი არ იყოს. სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილ იქნა პირველი იმიერპოლარული აეროკლუბი დედამიწის ყველაზე ჩრდილო წერტილზე — რუდოლფის კუნძულზე.

ჩვენს ქვეყანაში ასობითაა საპლანერო კლუბები, წრეები და საპარაშუტო კოშკები. ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნენი ეუფლებიან თვითმფრინავთა წაყვანის ოსტატობას, თანდათანობით გადადიან საავიაციო ოსტატობის მაღალ საფეხურებზე, გამოყოფენ რა თავის წრიდან შესანიშნავ რეკორდსმენებს, რომლებიც მსოფლიო სახელს იხვეჭენ.

წარმოებისგან მოუწყვეტლად მფრინავთა მომზადების დარგში ბევრი სიძნელე შეჰქმნა მავნებელთა ბანდამ, რომლებიც დიდხანს მოქმედებდნენ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში. ფაშისტთა სადაზვერვო ორგანოს აგენტებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ძირი გამოეთხარათ და შეესუსტებინათ ეს საყოველთაო სახალხო მოძრაობა, ჩაეშალათ პილოტთა მომზადების ორგანიზაცია.

ტროცკისტულ - ბუხარინული ჯაშუშური ნაძირალების ჩვენი გზიდან დაუნდობელი აღგვით, საბჭოთა ახალგაზრდობამ უკვე შესძლო დაემტკიცებინა არა თუ პილოტთა მასობრივი მომზადების შესაძლებლობა წარმოებისგან მოუწყვეტლად, არამედ ჩვენი ავიაციისათვის მაღალი კვალიფიკაციის კადრების გამოზრდის შესაძლებლობაც.

ჩვენი საავიაციო ახალგაზრდობა სწრაფად იზრდება და უკვე ახლა აქტიურ მონაწილეობას იღებს მსოფლიო რეკორდების დაპყრობაში. სულ ცოტა ხნის წინათ ცენტრალური აეროკლუბის კომკავშირელმა მფრინავმა - ქალებმა ირინა ზამნევსკაიამ და კატია მედნიკოვამ თვითმფრინავ „9-ბის“-ით დაამყარეს მაღლა ფრენის საერთაშორისო რეკორდი ქალებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობას ეკუთვნის ყველა მსოფლიო რეკორდები საპარაშუტო სპორტის დარგში. საპარაშუტო სპორტი—ერთ-ერთი გამოვლინებაა მასობრივი გმირობისა, სიმამაცისა და ვაჟკაცობისა, რომლებიც სტალინური ეპოქის ახალგაზრდობის ყველაზე მკვეთრი თვისებაა. საბჭოთა საპლანერო სპორტის დარგში ჩვენ აგრეთვე მცირე წარმატებებს როდი მივაღწიეთ. კომკავშირელმა პლანერისტმა ვიქტორ რასტორგუევმა წელს ერთადგილიანი პლანერით დაამყარა სიშორეზე ფრენის სამი საერთაშორისო რეკორდი.

საერთაშორისო რეკორდებით შეუძლიათ იამაყონ ჩვენს ნორჩ ავიამოდელისტებსაც.

მაღალ საავიაციო ტექნიკის დაუფლებასთან ერთად, ჩვენი ახალგაზრდობა ამავე დროს უნდა ეუფლებოდეს ბოლშევიზმს, უნდა იზრდებოდეს პოლიტიკურად. მხოლოდ ასეთ პირობებში გასწავლით ჩვენ ახალგაზრდობას ხალხის მტრების გამოცნობას და გამომჟღავნებას, რომლებიც არ მიატოვებენ ცდებს გაძვრნენ ჩვენს თავდაცვის ორგანიზაციებში.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოცანას შეადგენს — აეროკლუბების, საპლანერო კლუბების შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცება, მათში რკინის დისციპლინის შექმნა, ნამდვილი ბოლშევიკური წესრიგის დამყარება. პლანერთან, პარაშუტთან, თვითმფრინავთან დაშვებულ უნდა იქნან შემოწმებული ადამიანები, ისეთი ადამიანები, რომლებიც სოციალიზმის საქმის, ლენინ-სტალინის საქმის თავდადებულად ერთგული არიან.

ჯ. გოროშენინი.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

◇ ◇ ◇

საბჭოთა სახელოვანი ავიაციის დღე

ჩვენი დიადი სოციალიზმის ქვეყნის თვალუწვდენელი ტერიტორიის ზევით ელვის სისწრაფით დასცურავენ ჩვენი ამაყი ფოლადის ფრინველები — თვითმფრინავები. არსად, არასოდეს და არავის არ ღირსებია იმდენი ხოტბა, იმდენი დიდება, როგორიც წილად ხვდათ საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის საამაყო ადამიანებს, საბჭოთა კავშირის გმირებს—მფრინავებს. ჩკალოვის, ბაიდუკოვის, გრომოვის, ლევანევსკის და სხვათა გმირული საქმეები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საფრენოსნო ისტორიაში. მათი სიმამაცე, მათი გმირობა ანდამატივით იზიდავს ოქტომბრის პირმშოს—ჩვენს პატრიოტულ ახალგაზრდობას.

იქ, კაპიტალისტურ საშუალოში, სადაც მილიონიანი მასები შიმშილსა და სიღატაკეს განიცდიან, სადაც მეფობს ნაციონალური და ეროვნული ჩაგვრა,—იქ ავიაცია მხოლოდ ჩაგვრისა და მონობის იარაღს წარმოადგენს.

ისტორიაში წარუშლელ ლაქად დარჩება ის ეროვნული განადგურება და დამცირება, ის რისხვა, რაც იტალიის პირსისხლიანმა ფაშიზმმა აბისინიის მშვიდობიან ხალხს თავს დაატეხა. აბისინიის მშრომელნი, თვალცრემლიანნი შესცქეროდნენ, როგორ ანადგურებდა იტალიის ავიაცია მათ ჭოხმახებს, მათ უკანასკნელ სარჩო-საბადებელს.

აგერ წელიწადზე მეტია, ყოველ დღეს, ყოველ საათს მოაქვს სულ ახალი და ახალი ამბები იმ ბარბაროსობის შესახებ, რასაც გერმანიისა და იტალიის ფაშისტური ავიაცია სჩადის ესპანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იქ ფაშისტურ თვითმფრინავთა თავდასხმის შემდეგ სოფლებსა და ქალაქებში მხოლოდ ნასახლარები და ფერფლი რჩება. კაპიტალისტური ქვეყნების, გაკოფებული ფაშიზმის ავიაციის ზრდა მხოლოდ მომავალი, ახალი დიდი იმპერიალისტური ომისათვის მზადების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. კაპიტალიზმის ხელში იგი წარმოადგენს მკვეთრ იარაღს მცირე ერების დამონებისა და ახალ-ახალ კოლონიების დასაპყრობად.

სულ სხვაა ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ავიაციის მიზანი. ის მოწოდებულია — იყოს მშვიდობიანობის, თავდაცვისა და სოციალისტური მშენებლობის იარაღი. იგი ჩვენი სოციალისტური მეურნეობის განუყრელი და განუყოფელი ნაწილია. იზრდება ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, ფართოვდება ჩვენი სოციალისტური სოფლის ეკონომიური და კულტურული ბაზა. შესაბამისად ფართოვდება ჩვენი საამაყო ავიაციაც.

საბჭოთა სამოქალაქო ავიაციამ ნამდვილი მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. იგი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ერთერთ პირველი მოთხოვნილების საგნად გადაიქცა. სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციამ გასულ წელს გადაიყვანა 167000 მგზავრი, ხოლო წელს გადაყვანილი იქნება 180.000 მგზავრი. განუხრელად იზრდება ჩვენი სათუთი დასასწრაფო ამანათებისა და ტვირთის გადაზიდვა ავიაციის საშუალებით. მაგალითად, 1934 წელს აეროფლოტის თვითმფრინავებმა გააკეთეს 59.000 ათასი ტონა-კილომეტრი, 1936 წელს—20.900 ათასი ტონა-კილომეტრი, ხოლო მიმდინარე წელს კი სატრანსპორტო ავიაცია გააკეთებს 25.000.000 ტონა-კილომეტრს. სახელმწიფო მნიშვნელობის ხაზების სიგრძემ 55000 კილომეტრს მიაღწია.

ჩვენი თვითმფრინავები თავისუფლად დანავარდობენ არა მარტო საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, არამედ ისინი წარმოადგენენ ერთერთ სატრანსპორტო საშუალებას საბჭოთა კავშირსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის. გმირული ტრანსპოლარული გადაფრენის შემდეგ ჩვენი ავიაციის დღის წესრიგში დადგა რეგულარული საჰაერო მოძრაობის მოწყობა ორი დიდი ქვეყნის—საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების შორის.

ჩვენი სამოქალაქო ავიაცია, სატრანსპორტო მუშაობასთან ერთად, უდიდეს მუშაობას ეწევა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეშიც. სოფლის მეურნეობაში ავიაცია წარმოადგენს უძლიერეს იარაღს მინდვრის მავნებელთა წინააღმდეგ. საბოფლო-სამეურნეო ავიაციამ საპატიო ადგილი დაიკავა თესვაშიც.

ჩვენი საავიაციო საქმის ეს გრანდიოზული ზრდა გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებით. იგი პირმშო შვილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში იყო შესაძლებელი საფრენოსნო საქმის ესოდენ განვითარება მოკლე დროში. ეს უმაგალითო მიღწევები ნაყოფია ავიაციისადმი ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მშობლიური მზრუნველობისა და ლენინ-სტალინის პარტიის მხრივ დახმარებისა და ხელმძღვანელობისა.

მშრომელთა ულრმესი სიყვარული, რომლითაც გარემოცულია ჩვენი საჰაერო ფლოტი, იმის საუკეთესო საწინდარია, რომ იგი კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით წავა წინ საფრენოსნო საქმის ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

ავიაციის ყოველი ახალი მიღწევა, ყოველი ახალი ნაბიჯი ლახვარი იქნება ხალხის მტრებისათვის, ფაშიზმის აგენტებისათვის — ტროცკისტ-ზინოვიეველ - ბუხარინელებისათვის, პირსისხლიანი ფაშიზმისათვის, რომელიც ლამობს თავს დაესხას ჩვენს დიად კავშირს და ხელი შეუშალოს ჩვენს მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. მაგრამ პირსისხლიანი ფაშიზმის ყოველივე ცდას ჩვენი ძლევამოსილი ავიაცია გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს. ავიაციის რიგებში ჩადგებიან ახალი და ახალი ათასეულები, ჩვენი ქვეყნის თავდადებული ადამიანები. და თუ ჩვენ „თავზე მოგვახვევენ ომს, ეს გმირული ოჯახი ეკვეთება მტერს და თავისი მაგალითით გაიყოლიებს მებრძოლთ. ათასობით ახალი გმირები, სამშობლოს მამაცი დამცველები უკვდავჰყოფენ თავიანთ სახელებს, მძლავრი უძლეველი ქვეყანა, რომელიც სტალინის გენიას კომუნიზმის სწორი გზით მიჰყავს, ბრავლად წამოაყენებს თავისი რიგებიდან საუკეთესო ადამიანებს, რომლებიც ღირსი იქნებიან ატარონ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო და პასუხსაგები სახელწოდება“ (მ. სლეპნიოვი).

დიდება და სახელი საბჭოთა ამაგ შეეარდნებს!

დიდება ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს, რომელიც მრავლად ბრდის გმირებს, საფრენოსნო საქმის შესანიშნავ ოსტატებს!

მოსკოვი—ჩრდილო ამერიკის მარშრუტით გადაფრენათა მომწყობ მთავრობის კომისიისაგან

17 აგვისტოს განმავლობაში კვლავ ძალიან გაურკვევლად ისმოდა რადიოსადგურის მუშაობა, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს თვითმფრინავ „ნ—209“-ს. რადიოსადგურის გადმოცემის გარკვევა შეუძლებელი გახდა. თვალყურის დევნება გაგრძელდება.

ამხ. ზადკოვის თვითმფრინავი “ნ—2“ სწრაფად მიიწევს ჩრდილოეთისკენ. 17 აგვისტოს დილით იგი მარკოვოდან ანადირით მიფრინდა პროვიდენიის ყურეში. შემდგომი გაფრენა უელენში გადადებულ იქნა ხშირი ნისლის გამო, რაც ჩუკოტის ნახევარკუნძულის მთლიან ადგილზე დაშვების საშუალებას არ იძლევა.

კრასნოიარსკში დამთავრდა მზადება ამხ. გრაციანსკის ორმოტორიან თვითმფრინავ „ნ—207“-ის პოლარული გადაფრენისათვის. ამხ. გრაციანსკი მიიმართება დიქსონის კუნძულისკენ, რათა მან ამხ. გოლოვინის თვითმფრინავ „ნ—206“-თან ერთად, რომელიც ყაზანში ამთავრებს დამატებითი რადიოსადგურის დადგმას, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს ძებნაში.

თვითმფრინავ „ნ-209“-ის ძებნა

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო (საჭდესი). ფერბენქსში ჩაფრინდა ცნობილი ამერიკელი მფრინავი მატერნი, რათა მონაწილეობა მიიღოს თვითმფრინავ „ნ-209“-ის ძებნაში. მატერნს განზრახვა აქვს ძირდაუშვებლად გაფრინდეს ჩრდილოეთის პოლუსზე უკან დაბრუნებით 148 მერიდიანის გასწვრივ. არქტიკაში გაფრენის სიმარტივის გასადიდებლად მატერნი მიფრინავს თვითმფრინავ „ლოკჰიდ ელექტრათი“, რომელიც კარგად არის მოწყობილი არქტიკული გაფრენებისათვის. მატერნთან ერთად მიფრინავს ნავიგატორი ჯონსი.

როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო ფერბენქსიდან გადმოგვცემს, ამინდი ხელს უწყობს თვითმფრინავის ძებნას.

როგორც იუნაიტედ პრესის საგენტო იუწყება, ამხ. ვართანიანი სიეტლიდან გაფრინდა ფერბენქსში, რათა ხელი შეუწყოს თვითმფრინავ „ნ-209“-ის ძებნას.

ლონდონი, 16 აგვისტო (საჭდესი). „მანჩესტერ გარდიანი“, ეხება რა თავის მოწინავე სტატიაში თვითმფრინავ „ნ-209“-ის ადგილსამყოფელის ცნობების უქონლობას, სწერს: საფუძველი არა გვაქვს არ ვირწმუნოთ, რომ მფრინავები გადარჩენილი იქნებიან. ყველა ეს გადაფრენა, სწერს გაზეთი, მოწყობილი იყო დიდი მასშტაბით და მფრინავები უზრუნველყოფილი არიან ყოველივე იმით, რაც კი საჭიროა ავარიის შემთხვევისათვის. მათ აქვთ 45 დღის საყოფი სურსათის მარაგი. მათ გადასარჩენად მობილიზებული იქნება საბჭოთა ქვეყნის მთელი საშუალებანი, რომელიც არქტიკაში ავიაციის მაშველ სამუშაოთა მხრივ მსოფლიოში პირველი ქვეყანაა. ყველას, ვისაც ახსოვს ის ოსტატობა, რომლითაც საბჭოთა მფრინავებმა (რომელთა შორის თვით ლევანევსკიც იყო) მოდრეიფე ყინულიდან გადაარჩინეს ჩელუსკინელები, შეუძლია იქონიოს წარმოდგენა იმ დახმარებაზე, რომელსაც „ნ-209“-ის ეკიპაჟს გაუწევენ.

იზრდება გმირთა ოჯახი

საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება—სამშობლოს წინაშე შესანიშნავი დამსახურების უმაღლესი აღიარებაა. ჩვენმა საყვარელმა ლენინურ - სტალინურმა პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ, ჩვენმა სამშობლომ, ჩვენმა ხალხმა ეს სახელწოდება ამ ცოტახნის წინათ დააწესეს. ეს იყო იმ დაუვიწყარ დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყნის ძალების უდიდესი დაძაბვით ყინულის ტყვეობიდან დავიხსენით არქტიკის მამაცი დამპყრობელები. ეს ის დღეები იყო, რომლითაც ამაყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრული ოჯახი. ხალხის ბელადი ამხანაგი სტალინი განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს ჩელუსკინელთა გადარჩენის ოპერაციას და პირადად ხელმძღვანელობდა მას.

საუკეთესო საბჭოთა მფრინავები თავდადებულად სთავაზობდნენ თავიანთ სიცოცხლეს, თავიანთ გამოცდილებას საბჭოთა ადამიანების გადასარჩენად. ხაბაროვსკიდან გაემართა გალიშევის, დორონინისა და ვოდოპიანოვის ჯგუფი, კამჩატკიდან—ქამანინისა და მოლოკოვის ჯგუფი, ჩუკოტკიდან — ლიაპიდევსკი და ამერიკიდან — ლევანევსკი და სლეპნიოვი.

მათ შესძლეს ყინულების ცივი სუნთქვის გადალახვა, თვითმფრინავების საშინელი შემოყინვის, ქარიშხლებისა და ქარბუქის დაძლევა. მათგან შვიდმა მიაღწია მიზანს—მოდრეიფე ყინულთან უახლოეს პუნქტს და დაიწყო გადასარჩენი გაფრენები. საბჭოთა კავშირის მთავრობამ მფრინავებს — ლიაპიდევსკის, ლევანევსკის, მოლოკოვს, კამანინს, სლეპნიოვს, ვოდოპიანოვს და დორონინს მიანიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება. ამ საპატიო სახელწოდების მინიჭების სიგელებთან ერთად შეიქმნა გმირის მიეცა ლენინის ორდენი.

ამავე წელს მფრინავმა გრომოვმა ახალი თვითმფრინავით „ანტ-25“ დაჰყო ჰაერში 75 საათი და გაიარა 12.411 კილომეტრი. ეს იყო ადამიანებისა და საბჭოთა საავიაციო ტექნიკის უდიდესი გამარჯვება. ფრანგი მფრინავების უწინდელი მსოფლიო რეკორდი დაფარულ იქნა თითქმის 2500 კილომეტრით. ამ გამარჯვებისათვის მიხეილ მიხეილის-ძე გრომოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

ორი წლის შემდეგ ამავე თვითმფრინავმა „ანტ-25“, რომელსაც მართავდნენ მფრინავები, ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი, საბჭოთა ავიაციას მოუტანა ახალი გამარჯვება. ამ სამეულმა მოახდინა შესანიშნავი გადაფრენა, რომელიც ისტორიაში შევიდა „სტალინური მარშრუტის“ სახელწოდებით. მათმა თვითმფრინავმა ძირსდაუშვებლად გაიარა 9.000 კილომეტრი არქტიკის და ჩრდილოეთ აზიის მკაცრ რაიონებზე. სამმა მამაცმა მფრინავმა მიილო საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება.

ასე იწყო ზრდა გმირთა ოჯახმა დიად საბჭოთა ქვეყანაში, რომლის ძალებიც უსაზღვროა, სადაც „გმირად ხდება ყველა“.

მომდინარე წელს გმირთა ოჯახს შეემატა ახალი დიდი შვილება—42 კაცი. ესენი იყვნენ მამაცები, სამშობლოს დამცველები, რომლებიც განამტკიცებენ მის საბრძოლო ძლიერებას.

მთელი ქვეყანა იცნობს პოლკოვნიკ ტურუანსკის. მაიორ შახტის, უფროსი ლეიტენანტის რიჩაგოვის, პილოტ გორანოვის, ლეიტენანტ ოსადჩის და სხვათა სახელებს, რომლებმაც მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება. გმირთა სია დაამშვენა ჩრდილოეთის პოლუსის მამაც დამპყრობთა — ამხანაგების შმიდტის, სპირინის, შეველოვის, პაპანინის, ალექსეევის, მაზურუკის, გოლოვინის, ბაბუშკინის სახელებმა, რომლებიც პოპულარულია შორს ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქითაც.

ასე იზრდება გმირების—ჩვენი დიადი ხალხის საუკეთესო შვილთა, ბედნიერ სტალინური სამშობლოსათვის მებრძოლთა ოჯახი.

და თუ ჩვენ თავზე მოგვახვევენ ომს, ეს გმირული ოჯახი ეკვეთება მტერს და თავისი მაგალითით გაიყოლიებს მებრძოლთ. ათასობით ახალი გმირები, სამშობლოს მამაცი დამცველები უკვდავჰყოფენ თავიანთ სახელებს. მძლავრი უძლეველი ქვეყანა, რომელიც სტალინის გენიას კომუნიზმის სწორი გზით მიჰყავს, მრავლად წამოაყენებს თავისი რიგებიდან საუკეთესო ადამიანებს, რომლებიც ღირსი არიან ატარონ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო და პასუხსაგები სახელწოდება

მ. სლეპნიოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

საბჭოთა კავშირის გმირები—მფრინავები

ზევით, მარცხნიდან — მარჯვნივ: ამხ. ლიაპიდევსკი, კამანინი, სლეპნიოვი, მოლოკოვი, გრომოვი, ლევანევსკი.
ქვევით, მარცხნიდან — მარჯვნივ: ამხ. ბელიაკოვი, დორონინი, ჩკალოვი, ბაიდუკოვი, ვოდოპიანოვი.

საბჭოთა მიწაწყლის საჰაერო მაგისტრალებზე

ი. ფ. შიროკი
სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

საბჭოთა ქვეყნის საჰაერო ტრანსპორტი ვითარდება ისეთი ტემპებით, რომლის მიღწევაც არ ძალუძს არცერთ კაპიტალისტურ ქვეყანას მსოფლიოში. ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვის მხრივ საბჭოთა კავშირის ავიაციას უკვე ახლა უჭირავს პირველი ადგილი დედამიწის ზურგზე.

1934 წელს საჰაერო ფლოტის თვითმფრინავებმა გააკეთეს 5900 ათასი ტონა-კილომეტრი, 1936 წელს —20.900 ათასი ტონა-კილომეტრი. მომდინარე წელს სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავებმა უნდა გააკეთონ 25 მილიონი ტონა-კილომეტრი. წარსულ წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზრდება 33.000 ტონიდან 38.000-მდე, ფოსტის გადაზიდვა 5770 ტონიდან 6.200-მდე.

სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავები მტკიცედ შეიდგნენ საბჭოთა ქალაქებისა და სოფლების ყოფა-ცხოვრებაში. წარწან გადაყვანილი იქნა 167.000 მგზავრი, წელს გადაყვანილი იქნება 180.000. ჩვენი ქვეყანა დაიფარა რეგულარულად მომქმედი საჰაერო მაგისტრალების ხშირი ქსელით.

სამი მთავარი საჰაერო ხაზი აკავშირებს მოსკოვს ვლადივოსტოკთან, ბაქოსთან და ტაშკენტთან. თვითმფრინავები მიდიან სვანეთის შორეულ სოფლებში, პამირის მაღალმთიან სოფლებში, ყაზახსტანისა და თურქმენის შორეულ რაიონებში. სამგზავრო მატარებელი გზას მოსკოვიდან ტაშკენტამდე გადის 87 საათსა და 30 წუთში. თვითმფრინავს მგზავრი მოსკოვიდან ტაშკენტამდე მიჰყავს 28 საათში.

მანქანები ყოველდღე დადიან საჰაერო ხაზებზე მოსკოვიდან ლენინგრადამდე, ოდესამდე, მინსკამდე, სოჭამდე, სიმფეროპოლამდე, სარატოვამდე, ხარკოვამდე, ასტრახანამდე, ნოვოსიბირსკამდე, საჰაერო გზები აკავშირებენ ოდესას ბათუმთან, ომსკს ტარასთან, ირკუტსკს იაკუტსკთან და ბოდაიბოსთან, ხაბაროვსკს სახალინის ალექსანდროვსკთან და ოხასთან და ა. შ.

სატრანსპორტო ავიაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა შუა აზიის რესპუბლიკებში. თვითმფრინავები მუდამ დაიარებიან აშხაბად-ტაშაუზის, ტურტკულ-ნოვოურგენჩის, ტანკენტ-ფრუნზეს, სტალინაბად-ხოროგის, ალმა-ატა-ბერტისის და სხვ. ხაზებზე.

აეროფლოტის სახელმწიფო მნიშვნელობის საჰაერო ხაზების სიგრძემ 55.000 კილომეტრს მიაღწია.

ავიახაზები საბჭოთა კავშირს აკავშირებენ უცხოეთის ქვეყნებთან. ნორმალურად მოქმედებს მოსკოვ-პრაგას საჰაერო მაგისტრალი.

ფრენა რეგულარულად სწარმოებს მოსკოვ-ველიკიე ლუკი-რიგა-სტოკჰოლმის ამსწინათ გახსნილ ავიახაზზე. სტოკჰოლმზე გავლით, ისარგებლებს რა საჰაერო ტრანსპორტით, მგზავრს შეუძლია ერთი დღის განმავლობაში მოხვედეს პარიზში ან ლონდონში.

თვითმფრინავები ყოველდღე დადიან ულან-უდე-ალტან-ბულაკ-ულან-ბატორის ხაზზე, რომლის სიგრძეც 540 კილომეტრია.

საჰაერო ხაზი ტაშკენტი-ქაბული აკავშირებს საბჭოთა კავშირს ავღანისტანთან. ამ ხაზზე, რომლის სიგრძეც 957 კილომეტრია, თვეში ხდება 3 რეისი.

გმირული ტრანსპორალური გადაფრენების შემდეგ დღის წესრიგში დადგა მოსკოვ-ამერიკის შეერთებული შტატების რეგულარული საჰაერო ხაზის შექმნის პრობლემა. სწავლობენ ამერიკასთან კავშირის ორ ვარიანტს: ჩრდილოეთის პოლუსით და იაკუტსკ-ანადირით და ალიასკით. საბჭოთა საავიაციო ტექნიკა იმდენად მაღალ დონეზეა, რომ ორივე ვარიანტი სავსებით რეალურია.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტვირთზიდვის ხასიათი სულ სხვადასხვაგვარია.

კარსაკპაის ქარხნები — ჯუსალის ხაზით გადაქვთ ძვირფასი მადნეული. ბევრი ძვირფასი ლითონი, ბეწვეული და სხვა ტვირთი გადაქვთ შორეულ აღმოსავლეთის და აღმოსავლეთ ციმბირის ავიახაზებით.

აგვისტოში აეროფლოტის მძიმე მანქანები შეუდგნენ პირუტყვის მასობრივ გადაყვანას აშხაბადიდან ტაშაუზის ოლქში. ტაშაუზის კოლმეურნეებისათვის სულ გადაყვანილი იქნება ათი ათას ცხვარზე მეტი. წლითიწლობით იზრდება აეროფლოტის თვითმფრინავებით გადაზიდული ტვირთის რაოდენობა. თვითმფრინავები კავკასიიდან, ყირიმიდან და შუა აზიიდან ეზიდებიან ახალ ბალს, მანდარინს, ყურძენს. პამირის შორეულ სოფლებში საჰაერო ხაზებით გადაქვთ პურის. თვითმფრინავებს გადაქვთ თევზი, ბეწვეული, მედიკამენტები... გაზეთების მიწოდების საქმეში თვითმფრინავის როლი ფასდაუდებელია.

საბჭოთა სამოქალაქო ფლოტის პარკი იქსება გაუმჯობესებული მანქანებით. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აღვნიშნოთ კომფორტაბელური თვითმფრინავი „ანტ-35“, რომლის საკრეისერო სისწრაფეა 290 - 300 კილომეტრი საათში. მანქანა იტევს 10 მგზავრს. დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ახალი თორმეტადგილიანი თვითმფრინავები „ზიგ-1“.

წლითიწლობით უმჯობესდება ჩვენი ტრასების ტექნიკური აღჭურვილობა. საჰაერო ხაზებზე იდგმება რადიოშუქურები, რადიოსადგურები და სინათლის შუქურები. ყველა საჰაერო მაგისტრალებზე მთელი წლის განმავლობაში და დღისით და ღამით მუშაობა — მორიგი ამოცანაა, რომელიც უნდა გადავწყათ.

სატრანსპორტო მუშაობასთან ერთად სამოქალაქო ფლოტს უხდება აგრეთვე მალარიასთან და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ამოცანები იზრდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობასთან ერთად. ამ ამოცანების შესასრულებლად ყველა შესაძლებლობა გვაქვს. გვყავს ის, რაც ყველაზე მთავარია —მფრინავების, ტექნიკოსების და ინჟინრების შესანიშნავი კადრები. სატრანსპორტო ავიაცია დამსახურებულად ამაყობს პილოტებით—შიბანოვით, დემჩენკოთი, იანიცკით, ვოსკრესენსკით. ბივალოვით, კონდრატიევით და უკვარიო ზუსტი მუშაობის მრავალი სხვა ოსტატით. ჩვენს ქვეყანაში ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით შექმნილია შესანიშნავი საავიაციო მრეწველობა, რომელიც სამოქალაქო საჰაერო ფლოტს ამარაგებს ახალი მანქანებით და ახალი მოწყობილობით. სამოქალაქო ავიაციის მუშაკებზეა დამოკიდებული აითვისონ ჩვენი ინდუსტრიის პროდუქცია და აიძულონ იგი სანიმუშოდ ემსახუროს ჩვენი დიადი ხალხის კეთილდღეობას.

ავიაცია სოფლის მეურნეობაში

ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის სტალინური გეგმის წარმატებამ უზრუნველჰყო ჩვენში საფურნესნო საქმის განვითარება. თვითმფრინავების საშუალებით ამჟამად ახერხებენ სოფლის მეურნეობის ოცდაათზე მეტი სახეობის მავნებელი მწერებისა და ცხოველების წინააღმდეგ ბრძოლას. თვითმფრინავებით სთესენ ხორბალს, სწამლავენ ჭაობებს და ტყეებს, ამყარებენ კავშირს სოფლებს შორის და სხვ.

1925 წელს სასოფლო-სამეურნეო ავიაციის ხაზით ფრენის საერთო ხანგრძლივობა საბჭოთა კავშირში 392 საათს არ აღემატებოდა. 1930 წელს ეს ციფრი გაორკეცდა, ხოლო 1933 წელს მან 30.400 საათს მიაღწია. ყოველწლიურად იზრდება ავიაციის მომსახურება სოფლის მეურნეობაში. შესაბამისად მატულობს ფრენის ხანგრძლივობაც.

პირველი თესვა თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირში 1931 წელს ჩატარდა. დაითესა ხორბლეული 4.200 ჰექტარზე. 1932 წელს თვითმფრინავებით ნათესი ხორბლეულის ფართობი 60.000 ჰექტარს უდრიდა, 1933 წელს კი მან 138.000 ჰექტარს მიაღწია. ეს ციფრი საგრძნობლად გადიდდა შემდგომ წლებში.

თვითმფრინავებს ფართოდ იყენებენ ბამბის მავნებლების, კალიისა და მინდვრის თაგვების წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ რამდენად დიდია ამ მხრივ ავიაციის როლი, ამას შემდეგი ციფრები ადასტურებს: 1931 წელს საბჭოთა კავშირში თვითმფრინავებით მოწამლეს 91.400 ჰექტარი კალიამოდებული ფართობი, 1932 წელს—284.800 ჰექტარი, 1933 წელს—328.700, 1934 წელს კი —353.900 ჰექტარი. ჩატარდა ბრძოლა ბამბის მავნებლების წინააღმდეგ: 1931 წელს 26.100 ჰექტარზე, 1933 წელს—51.300-ზე, 1935 წელს კი 133.000-ზე.

სერიოზული მუშაობა ტარდება ამ მხრივ ამერკავკასიაშიც. მარტო შარშან აქ სასოფლო-სამეურნეო თვითმფრინავებით შეიწამლა 142.300 ჰექტარი ბამბის ნათესი, ე. ი. 39.300 ჰექტარით იმაზე მეტი, ვინემ 1935 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ერთად. ამიერკავკასიის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სოფლის მეურნეობის მომსახურება თვითმფრინავებით, მაშინ, როდესაც საერთო რიცხვი თვითმფრინავებისა უკანასკნელ 3-4 წლის მანძილზე გერმანიაში 24—28-ჯერ გადიდდა. ეს ბუნებრივიცაა. ერთის მხრივ, კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტური ზრახვები და მოქმედება, ხოლო მეორე მხრივ ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის დაცემა და გაჩანაგება შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობაში ავიაციის გამოყენებას.

ტ. აცანელი.

სწავლის ფრიადოსანი, მფრინავთა ჯგუფის მამასახლისი ვერიჟენკო (ტრაშკის საველოსნოების ტექნიკოსი). მას აქვს 8 დამოუკიდებელი გაფრენა.
ფოტო ბუდეშტსკისა

თბილისის აეროკლუბი წარმოებას მოუწყებლივ ამზადებს პილოტებს. თბილისის საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები პილოტები ხდებიან.
სურათზე: გაფრენების შეფასება კურსანტების მიერ.
ფოტო ბუდეშტსკისა („ნოვოეფოტოს“ ხელ. გამც.).

პოლარული ავიაციის საქმეები და ადამიანები

მ. შეველიოვი
საბჭოთა კავშირის გმირი—ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს პოლარული ავიაციის უფროსი.

პაჟი ყინულებში დაზამთრებულ ჰიდროგრაფიულ გემ „ტოროსზე“. ამ წლის გაზაფხულზე პოლარული ავიაციის თვითმფრინავები თეთრი ზღვის ყელში სამსახურს უწევდნენ სანადირო სარეწაოებს. ნადირის ძიებაზე თვითმფრინავებით „სტალ-2“ მუშაობდნენ პილოტები ვლასოვი და ვერშინსკი. თვითმფრინავების გამოყენებამდე ზღვის ნადირის წლიური საშუალო მოპოვება არ აღემატებოდა 30.000-35.000 სულს, ახლა იგი გაიზარდა 150.000 სულამდე.

1936 წლის ნავიგაცია, რომელიც ყინულის პირობების მხრივ მეტად-მეტად გაძნელებული იყო, კარგად დამთავრდა იმითაც, რომ წარმატებით მიმდინარეობდა ყინულების გამოკვლევა თვითმფრინავების გამოყენებით. საბჭოთა კავშირის გმირებმა გვიჩვენეს მამაცობის, შეუპოვრობის და ოსტატობის უმაგალითო ნიმუშები. დაიპყრეს ყინულოვანი არქტიკა და ჩრდილოეთის პოლუსი. საბჭოთა ქვეყნის პირველი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი გვეუბნება: ვინც ჰაერში ძლიერია, ის ჩვენს დროში საერთოდ ძლიერიაო.

ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდობას ალღზე იტაცებს ავიაცია. ახალგაზრდები იპყრობენ თვალუწვდენ სივრცეებს და საფრენოსნო ისტორიაში უმაგალითო წარმატებებს აღწევენ.

ოთხ წელიწადზე მეტია, რაც დავფრინავ ამიერკავკასიის ყინულოვანი მთების მწვერვალებზე. ჩემი თვითმფრინავი „ანტ—9“ საუკეთესო კონსტრუქციისაა. ის ორმოტორიანია. კარგი სისწრაფე აქვს. მე მიყვარს ჩემი თვითმფრინავი და ამ მფრინავების სახელები იცის მთელმა ქვეყანამ და მათ სიყვარულით იმეორებს. გრომოვი, კოკინაკი, იუმაშევი, მამაცი მფრინავი ქალი ოსიპენკო, რომელსაც აქვს სიმაღლეზე გაფრენის ქალთა სამი საერთაშორისო რეკორდი, თავდაცვაავიაქიმის მფრინავი ინსტრუქტორი ვიშნევსკაია, რომელმაც მუუბუქი თვითმფრინავით დაამყარა პირველი საბჭოთა საერთაშორისო რეკორდი, — აი ის ადამიანები, რომლებიც განასახიერებენ საბჭოთა საავიაციო სპორტის საერთაშორისო სახელს. პირდაპირი ხაზით შორფრენის სრულიად საკავშირო რეკორდს გადააჭარბა ლეგენდარული თვითმფრინავის „ანტ-25“ გმირულმა ეკიპაჟმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა ამხანაგებმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაკოვმა, რომლებმაც მოახდინეს გადაფრენა მარშრუტით: მოსკოვი-ჩრდილოეთის პოლუსი-ვანკუვერი.

1937 წლის ავიაციის დღისათვის საბჭოთა კავშირის ა. ვ. კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბი აღნიშნავს საბჭოთა ავიაციის კიდევ ერთ გამარჯვებას.

საბჭოთა კავშირის გმირის გრომოვის, იუმაშევის და დანილინის ბრწყინვალე გადაფრენამ „ანტ-25“-ით მოსკოვ-ჩრდილოეთის პოლუსი-ვანკუვერ-ჩრდილოეთის პოლუსი-მოსკოვის მარშრუტით თავისი მნიშვნელობითა და თავისი შედეგებით შორს მოიტოვა ყველა მსოფლიო საავიაციო რეკორდი.

საბჭოთა კავშირმა, საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, მსოფლიო საავიაციო რეკორდების დამყარებით ერთხელ კიდევ უჩვენა მთელ ქვეყნიერებას, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტების მშენებლობის ბრწყინვალე წარმატებები.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს ყველა საწარმოს მუშაობა და არაერთხელ მოახდინა ყინულების გამოკვლევა. თვითმფრინავმა გააკეთა სულ 26.300 კილომეტრი.

და, ბოლოს, ორდენოსან პილოტ ფარინის გადაფრენა იმავე მარშრუტით, რაც პირველი იყო ზამთრის პირობებში. გადაფრენას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ყველაზე შორეული პუნქტების მეზობლად ზამთარში პირველად დაისმყარეს ცოცხალი კავშირი მატერიკთან. ამასთან ერთად განხორციელდა ზოგიერთ საზამთრო სადგომში მიწყობა ექიმები.

შემდეგი ეტაპია წაჰაერო არშადინ ისტორიული გაფრენა ჩრდილოეთის პოლუსზე და იქ სამეცნიერო სადგურის მოწყობა.

პოლუსის ათვისებამ საბჭოთა კავშირს პრაქტიკული შესაძლებლობა მისცა სსრ კავშირი უმოკლესი საჰაერო გზით დაეკავშირებინა ჩრდილოეთ ამერიკასთან.

ავიაციამ ბევრი რამ გააკეთა ჩრდილოეთში, სადაც ამხანაგ სტალინის ინიციატივით სწარმოებს დიდი სამეურნეო არქტიკის დასაუფლებლად. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. უახლოეს 2-3 წელში ჩრდილოეთის ხაზზე მოწყობილი იქნება რადიო-შუქურები, მრეწველობა მოგვცემს ახალ სწრაფმავალ თვითმფრინავებს და ჩვენ შეეძლებით პოლარულ ლამისა და აეროდრომების შემოდგომობით გაფუჭების დაძლევას, ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ჩრდილოეთში შორეულ პუნქტებთან რეგულარული საჰაერო მიმოსელის მოგვარებას.

თვითმფრინავი სასურველი სტუმარია ტაიგისა და ტუნდრის ყველა კუთხეში, სადაც კი ცოცხალი ადამიანები არიან. სადაც თვითმფრინავები გაივლიან ხოლმე, იქ ადამიანების ცხოვრება სულ სხვა ხდება. თვითმფრინავებს შორეული ჩრდილოეთის ხალხებთან მიაქვთ საბჭოთა კულტურა. ამ ხალხების ცხოვრება გაუმჯობესდა და სამური გახდა, როგორც ყველგან ჩვენს სამშობლოში, რომელიც იფურჩქნება ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ჩემი სიხარული

საბჭოთა ავიაციისაკენ მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება. ძნელად სტალინურ ეპოქაში გახდა შესაძლებელი ის, რაზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა კაცობრიობა. საბჭოთა კავშირის გმირებმა გვიჩვენეს მამაცობის, შეუპოვრობის და ოსტატობის უმაგალითო ნიმუშები. დაიპყრეს ყინულოვანი არქტიკა და ჩრდილოეთის პოლუსი. საბჭოთა ქვეყნის პირველი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი გვეუბნება: ვინც ჰაერში ძლიერია, ის ჩვენს დროში საერთოდ ძლიერიაო.

ჩვენი დიადი ქვეყნის ახალგაზრდობას ალღზე იტაცებს ავიაცია. ახალგაზრდები იპყრობენ თვალუწვდენ სივრცეებს და საფრენოსნო ისტორიაში უმაგალითო წარმატებებს აღწევენ.

ოთხ წელიწადზე მეტია, რაც დავფრინავ ამიერკავკასიის ყინულოვანი მთების მწვერვალებზე. ჩემი თვითმფრინავი „ანტ—9“ საუკეთესო კონსტრუქციისაა. ის ორმოტორიანია. კარგი სისწრაფე აქვს. მე მიყვარს ჩემი თვითმფრინავი და თვალისჩინივით ვუვლი მას. არ ვიცი, რა არის ავარია. მოტორი ერთხელაც არ გამფუჭებია. თვითმფრინავის მართვასთან ერთად შევისწავლე რადიოტექნიკა. ჩემი საერთო გაფრენა 2908 საათის ტოლია. გასულ წელს ჰაერში დავყავი 869 საათი და წლიური გეგმა 120 პროცენტით შევასრულე. ჩემმა თვითმფრინავმა შეუკეთებლად ნაცვლად 1000 საათისა 1500 საათი იფრინა. ასეთ წარმატებისათვის დამაჯილდოვეს.

18 აგვისტოს ჩემმა ფრთამაღალმა თვითმფრინავის მთელი ეკიპაჟი გამარჯვებული ხვდება. ოთხი წელი წავი პილოტობაში ისე გავატარე, რომ ნიფათი არ მომსვლია. ამყამად ვმუშაობ ჩემი კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებისათვის. მე აღტაცებული ვარ საბჭოთა კავშირის გმირთა ზეპატიული გადაფრენებით და ვოცნებობ იმაზე, რომ მომავალში მეც შევძლო გადავფრინდე შორეულ და თვით მიუვალ ადგილებში კი.

ივანე კუჩეროვი
თბილისის აეროპორტის სტახანოველი პილოტი

ავიაციის მწვერვალებზე

მე გამომზარდა ლენინ-სტალინის უძლეველმა პარტიამ და დამაყენა ახალი ცხოვრების ნათელ გზაზე. ექვსი წელიწადია ვმუშაობ თბილისის აეროპორტში და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამე შევისწავლე. თვითმფრინავ ა-6 და ანტ-9-ზე ვმუშაობ ბორტმექანიკოსად. აქ თანამდებობაზე მუშაობის განმავლობაში ჰაერში დავყავი 2500 საფრენოსნო საათი. გასულ წელს ვიფრინე 750 საათის.

თვითმფრინავ ანტ-9 და ლ-138-ით 1450 საათი დაეყავი ჰაერში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითმფრინავით ჩემ ხელში ბოლომდე შევიქელი, ამით დავამყარებ რეკორდს მთელი აეროფლოტის მასშტაბით. ვეუფლები ავიაციის რთულ ტექნიკას და ამავე დროს ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას სხვებსაც ვუზიარებ. ამჟამად რამდენიმე „შევრდი“ მყავს აყვანილი და ვასწავლი.

პილოტებთან და ბორტმექანიკოსებთან ერთად ვიბრძვი ავიაციის მწვერვალების დასაპყრობად. ჩემს მუშაობაში არ მახსოვს თვითმფრინავის იძულებითი დაშვება.

აეროფლოტის უფროსმა 3000 კილომეტრზე გაფრენისათვის დამაჯილდოვა.

უძლეველია საბჭოთა ავიაცია. თუ მტერი გაბედავს და თავს დაგვესხმის, ჩვენი თვითმფრინავები გამანადგურებელ ხრისხად მოევლინებიან მას.

ვასილ მაცნეული
თბილისის აეროპორტის სტახანოველი ბორტმექანიკოსი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორე პლენუმი

15-16 აგვისტოს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეორეი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. გოგეშვილის მოხსენება „პარტიაში მიღების შესახებ“ და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. გ. სტურუას და თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობათა აღმსრულებლის ამხ. კ. ბუჯიაშვილის მოხსენებები „1937 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის შესახებ“.

პარტიაში მიღების საკითხზე კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: გ. გიორგობიანი, ვ. მირცხულავა, გ. კიზირია, პ. ტატანაშვილი, ს. იშხანოვი, გ. ახალაძე, კ. გეგეჭკორი, ა. პანცირნაია, შ. გუდავაძე, ი. ბირიუკოვი, ს. მამულოვი, მ. კვარცხავა, გ. ოგანეზოვი.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის საკითხზე კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: მ. სარქისოვი, ა. პირაევი, პ. კიკნაძე, ნ. ციცაგი, ა. ხომასურიძე, ს. პოპანდოპულო, ა. ფანცხავა, ი. გრიგორიანი, გ. ხეჩუმოვი, ა. ეროგინი.

პლენუმის რეზოლუცია „პარტიაში მიღების შესახებ“ ქვეყნდება.

„1937 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის“ საკითხის შესახებ პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს დაავალა ადგილობრივი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა დირექტორების მონაწილეობით და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე მომხდარი აზრთა გაცვლა-გამოცვლის გათვალისწინებით შეიმუშაოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებას და 1937 წლის საწარმოო გეგმის შესრულებას.

მშრომელნი სწავლობენ ახალ საარჩევნო კანონს

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტკომმა დიდი მუშაობა გაწია მშრომელთათვის ახალი საარჩევნო კანონის ახსნა-განსამარტებლად.

„უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესწავლა 4 ივლისს დაიწყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მომზადების საკითხს.

ფაბრიკის პროპაგანდისტები და აგიტატორები კონსულტაციას ღებულობენ პარტიის რაიკომში, აგრეთვე ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში. გარდა ამისა, პარტკომი იწვევს ფაბრიკაში პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაკებს, რომელნიც აგრეთვე ატარებენ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა კონსულტაციას.

საუბრების ჩატარება ახალი საარჩევნო კანონის შესახებ საამქროებსა და განყოფილებებში უკვე დამთავრებულია. 20 ივლისიდან დაიწყო „უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ ღრმად შესწავლა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ პოლიტწელში. ის მუშები, რომელნიც ვერ მოჰყვნენ პოლიტწელში, ჩაბეს დამატებითს 2 წრეში, რომლებიც ფაბკომმა მოაწყო. ფაბრიკის 4 საერთო საცხოვრებელის პარტკომმა მიამაგრა 8 აგიტატორი, რომლებიც სისტემატურად ატარებენ საუბრებს ახალ საარჩევნო კანონის შესახებ.

ფაბრიკაში მოწყობილია 33 წრე, სადაც მეცადინეობა სწარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე. პროპაგანდისტთა მოხერხებულად შერჩევამ და მოშზადებამ უზრუნველჰყო მსმენელთა 100 პროცენტიანი დასწრება და კარგად შეთვისება. იმათ რიცხვიდან, რომელთაც კარგად შეითვისეს უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება, პარტკომმა გამოჰყო 30 აბიტურიენტი და გაგზავნა ორჯონიკიძის რაისაბჭოში, რათა ისინი გამოყენებულ იქნან, როგორც აგიტატორები შეუკავშირებელ მოსახლეობას შორის.

როდესაც დამთავრდება დებულების შესწავლა და იმის შემოწმება, თუ როგორ არის იგი შეთვისებული კომკავშირისა და პროფკავშირულ პოლიტწელში, განზრახულია ჩატარდეს საერთო საფაბრიკო პოლიტდღე. პოლიტდღეზე გაკეთებული იქნება მოხსენება ახალი საარჩევნო კანონის შესახებ, აგრეთვე გასცემენ პასუხს მუშათა წერილობითს და ზეპირ კითხვებზე უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესახებ.

წარმატებით ატარებენ თავიანთ ჯგუფებში უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას პროპაგანდისტები ამხ. გრიგორიანი, რატიანი, კალინინი, კაკაბაძე და სხვ.

ფაბრიკის ინჟინერ-ტექნიკოს მუშათა ცოლების საბჭომ ფართოდ მოაწყო აგრეთვე საარჩევნო კანონის შესწავლა ტექნიკურ მუშაკთა ცოლებს შორის (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ამხ. მ. დ. **ბერმანი** დაამტკიცა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრად, გაათავისუფლა რა იგი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის მოვალეობისაგან.

○

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ა. **ხალეპსკი**, სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ი. **ჩუბარი** დაამტკიცა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრად.

○

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. გ. ფ. **გრინკო**, სხვა სამუშაოზე მის გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიაში მიღების შესახებ

(საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის 1937 წლის 16 აგვისტოს პლენუმის დადგენილება)

მოისმინა და განიხილა რა ამხ. გოგეშვილის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „საკ. კომ. პარტიაში (ბ) ახალ წევრთა მიღების განახლების შესახებ“ გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე თბილისის პარტორგანიზაციაში, — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიის წესდების მოთხოვნათა დაცვის შედეგად თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო ლენინ-სტალინის პარტიის ნამდვილად ერთგული ადამიანები, რომლებიც მოწინავენი არიან წარმოებაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შემოწმებული არიან სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში და პარტიაში მიღების მხრივ რაიკომების ხელმძღვანელობის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს:

ა) ბევრ პირველად ორგანიზაციას არასაკმარისი კავშირი აქვს უპარტიო აქტივთან, სუსტად იცნობენ ადამიანებს და ბევრ პირველად ორგანიზაციაში რაიკომები პარტიაში მიღების საქმეს ანდობენ თვითდინებას, რის შედეგადაც პარტორგანიზაციების საგრძნობმა რაოდენობამ ფაქტიურად თავი აარიდა პარტიაში მიღებას.

ქალაქ თბილისში 631 პირველადი პარტორგანიზაციიდან პარტიის წევრობის კანდიდატებად და პარტიის წევრებად მიღება არ მომხდარა 264 ორგანიზაციაში (რაიონების მიხედვით: ლენინის რაიონში 93-დან 40-ში, სტალინის რაიონში—124-დან 68-ში, კიროვის რაიონში—176-დან 45-ში, ორჯონიკიძის რაიონში—152-დან 64-ში, 26 კომისრის რაიონში—88-დან 42-ში), ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღება არ მომხდარა 456 პარტორგანიზაციაში.

პარტიაში მიღების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რკინიგზის ტრანსპორტის პარტორგანიზაციაში (მიღებულია და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ დამტკიცებულია 8 კაცი), საელმშენებლო საწარმოებში (მიღებულია 2 კაცი) და საშინამრეწველო-სარეწაო ორგანიზაციებში (არ მიუღიათ არცერთი კაცი);

ბ) სუსტია თბილისის პარტორგანიზაციის ზრდა პარტიაში ახლად მიღებულთა ხარჯზე.

პარტიაში მიღების განახლების პერიოდის განმავლობაში თბილისის კომიტეტის მიერ პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 150 კაცი, აქედან: მუშა—74 პროცენტი, ალკ წევრი—52,6 პროცენტი, ქალები—21,4 პროცენტი. პარტიის წევრებად მიღებულია 143 კაცი;

გ) სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის, 26 კომისრის სახელობის ქარხნის, დეპოს, განათლების სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, „ზარია ვოსტოკას“, მაუდის ფაბრიკის, ტრამვაის, სახელმწ. ავტო-სარემონტო ქარხნის № 8, ფეხსაცმლის ფაბრიკის № 1 პირველადს პარტორგანიზაციებში და ორჯონიკიძის, ლენინის, სტალინის და კიროვის სახ. რაიკომებში ადგილი აქვს პარტიაში მიღების შესახებ შეტანილ განცხადებათა განუხილველად გაჭერების ფაქტებს;

დ) ორჯონიკიძის, სტალინის და ლენინის სახ. რაიკომების პარტკადრების განყოფილების გამგეებმა (ამხ. ქვარცხავა, ოგანეზოვი, ტატანაშვილი) პარტიაში მიღების მასალების გაცნობის საქმე მეტწილად გადააბარეს რაიკომის საორგიცხვო სექტორს, რითაც უხეშად დაარღვიეს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი წესი;

ე) ალკკ თბილისის კომიტეტი და რაიკომები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საკ. კ. პ. (ბ) რიგებში კომკავშირელთა ჩაბმის შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებათა შესრულებაზე.

რეკომენდაციების მიცემის შესახებ კომკავშირელთა განცხადებების განხილვა ყოვნდება და ამის შედეგად აქტიური, პოლიტიკურად მომზადებული კომკავშირელები, რომლებიც ღირსნი არიან იყვნენ პარტიაში, მის რიგებს გარეთ რჩებიან;

ვ) ისევ არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა უპარტიო აქტივთან.

უკანასკნელ დროს პარტორგანიზაციებმა შეასუსტეს თანამგრძნობათა ჯგუფებთან მუშაობა, რის შედეგადაც გვაქვს თანამგრძნობათა სუსტი ზრდა.

თბილისის კომიტეტის პლენუმი პარტიაში მიღების ხაზით საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციაში ჩატარებულ მუშაობას სთვლის არასაკმარისად.

თბილისის კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოთ პირველადს პარტორგანიზაციებს გაშალონ პარტიულ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან, კომკავშირელებთან და უპარტიო აქტივთან, ჩააბან ისინი პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში, პარტიაში შემსვლელთ აღმოუჩინონ დახმარება პარტიაში მისაღებად დოკუმენტების გაფორმებაში.

2. თბილისის კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა რაიკომს შეამოწმონ თანამგრძნობათა ჯგუფებთან მუშაობის მდგომარეობა, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი თანამგრძნობათა ჯგუფების მუშაობის გასაუმჯობესებლად ყოველ პირველად პარტორგანიზაციაში.

რაიკომებმა სპეციალურად დაამუშაონ ღონისძიებანი უპარტიო აქტივთან მუშაობის დარგში და აგრეთვე თანამგრძნობათა ჯგუფების მოსწყობად პირველადს პარტორგანიზაციებთან იქ, სადაც ისინი დღემდე არ არის მოწყობილი.

3. წინადადება მიეცეს კომკავშირის თბილისის კომიტეტს გაშალოს მუშაობა კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებში „საკ. კ. პ. (ბ) რიგებში კომკავშირელთა ჩაბმის შესახებ“ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების შესასრულებლად.

დაევალოთ კომკავშირის რაიკომებს უზრუნველჰყონ განცხადებათა დროზე განხილვა და რეკომენდაციების მიცემა სასტიკი ინდივიდუალური წესით იმ კომკავშირელებისათვის, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შედიან.

4. წინადადება მიეცეთ რაიკომებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ჩააბან ისინი პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში მათთვის პარტიული დავალებების მიცემით, რაც ხელს შეუწყობს მათ იდეურ-პოლიტიკურ ზრდას.

რაიკომებმა და პარტკომებმა გაბედულად წამოაყენონ ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიაში ახლად მიღებული ამხანაგები, უზრუნველჰყონ მათთვის დახმარება პრაქტიკულ მუშაობაში.

5. აღნიშნავს რა, რომ პარტიის მთელ რიგ წევრებისა და კანდიდატების მხრივ პარტიული დოკუმენტების შენახვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციაში დაკარგული და მოპარულია ახალი ნიმუშის 148 პარტბილეთი და საკანდიდატო ბარათი, თბილისის კომიტეტის პლენუმი ავალებს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს და რაიკომებს კომუნისტთა შორის ჩაატარონ სათანადო განმარტებითი მუშაობა და მიაღწიონ პარტდოკუმენტების ფრთხილად შენახვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, პარტიული ბილეთის დაკარგვა შეაფასონ როგორც პოლიტიკური უდარდელობისა და დოყლაპიობის გამოჩენის ფაქტი და დოკუმენტების დაკარგვაში დამნაშავე პირებს მისცენ სასტიკ პარტიულ პასუხისგებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს პარტიაში მიღების საქმისადმი ფხიზელ დამოკიდებულებას, რათა მტრულად განწყობილ, უცხო და ეულირს ადამიანებს საშუალება არ მიეცეთ შეიპარონ პარტიის რიგებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი ავალებს ყველა პირველად პარტორგანიზაციას უზრუნველჰყონ პარტიის რიგების ხარისხობრივ შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება, მიიღონ აქტიაში ნამდვილად მოწინავე და ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული ადამიანები.

სიკვდილით დასჯა გერმანიაში

ბერლინი, 16 აგვისტო (საქდესი). დღეს დილით ბერლინში სიკვდილით დასაჯეს დრეზდენელი ვილჰელმ ფირლი, რომელსაც ბრალი ედებენ „არსებული წყობილების დამხობის მომზადებაში“, რის გამო ფირლს გამოტანილი ჰქონდა სასიკვდილო განაჩენი.

ამავდროულად სტრასბურგში — ალსასში მოყვანილი გაბაჭრები ხოკერიხენელი 24 წლის ერიხ ირიონს და 25 წლის გერმან ათინს მიმართ, რომლებსაც ბრალს სდებდნენ „სახელმწიფო ღალატში“, რის გამოც ფაშისტურმა სასამართლოს მიერ მათ გამოტანილი ჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი.

„პრავდის“ კომენტარიები

„პრავდა“ დღეს ათავსებს შემდეგ კომენტარიებს სიკვდილით ახალ დასჯათა შესახებ სსრკ დეპ. საგენტოს მიერ ბერლინიდან მიღებული დეპეშის გამო:

ახლა გერმანიას მოედო ფაშისტთა მეკეცური ტერორის ახალი ტალღა—მუშათა სიკვდილით დასჯა, ჯარისკაცთა დახვრეტა, მასობრივი ჩხრეკა და დაპატიმრება, პოლიტიკური პროცესთა დაუსრულებელი სერია.

რამდენიმე დღის წინათ ბერლინის პლეტცენზეეს საპატიმროში ჯალათის ნაჯახით დაღუპნენ ანტიფაშისტები ჰერჰარდ ჰოლცეი 24 წლისა, რეინჰოლდ ჰულიუსი 24 წლისა, ფერდინანდ ტომასი 42 წლისა და ჯარისკაცი ერნსტ ოპიცი 28 წლისა. დიუსელდორფში ფაშისტ უფროსებისადმი ურჩობისათვის დახვრიტეს 7 ჯარისკაცი. ამჟამად ტელეგრაფი იუწყება, სიკვდილით ახალ დასჯათა შესახებ. სიკვდილმისჯილთა საკნებში ნაჯახის ამოქმედებას ელოდებიან მრავალი ათეული სხვა ანტიფაშისტები.

მათ მსჯავრი აქვთ დადებული ყბადაღებული „სახალხო სასამართლოების“ მიერ, რომლებიც შედგენილია პროფესიული ფაშისტი ჯალათებისაგან. სიკვდილი ემუქრება მუშებს გერიცსა და ლოვაჩს, რობერტ შტამსა და ადოლფ რემმელეს.

უკანასკნელი ცნობები

ჩინეთის ჯარების წარმატებანი

შანხაი, 17 აგვისტო (საქდესი)—ცენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ამოქმედებით, ჩინეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მტკიცე გადაწყვეტილებით განდევნონ იაპონელები მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციებიდან იაპონიის ახალი დამხმარე ძალების მოსვლამდე. 16 აგვისტოს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე, იაპონიის ჯარებმა, რომლებსაც ეჭირათ საფეიქრო ფაბრიკა „კუნდა“, სადაც თავი მოიყარეს ჩინელთა მთელმა მოსახლეობის შორის. ეს სერიოზული ამოცანაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, დაკვირვებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან. თვითეულმა მუშამ, თვითეულმა მუშაქალმა კარგად უნდა შეიგნოს და შეითვისოს ახალი საარჩევნო კანონი. თვითეულმა ამომრჩეველმა ზუსტად უნდა იცოდეს თავისი უფლებები. უნდა იცოდეს, თუ როგორ იმოქმედოს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, როგორ იხმაროს ის სტალინური კონსტიტუციისათვის.

სერიოზული ამოცანაა დასახული ჩვენს წინაშე არაორგანიზებული მოსახლეობის მიმართ, რომელიც დაქსაქსულია თავის სახლებში, ბინებში, ოთახებში. აქ სოციალისტური სწარმოებიდან მოშორებით მტერი შეეცდება ამოქმედოს განსაკუთრებით ენერგიულად, გამოიყენებს დიასახლისების, შინამოსამსახურეების, გამთბობების, მეეზოვეების და სხ. ჩამორჩენილ განწყობილებებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს—მშრომელთა არმიის ერთერთი დიდი რაზმია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამომრჩეველთა სწორედ ამ ნაწილში მტერი განსაკუთრებით აქტიურად ცდილობს თავისი მომხრეების მოძებნას.

ჩვენი პარტია—„მშრომელთა მოწინავე რაზმია სოციალისტური წყობილების განმტკიცებისა და განვითარებისათვის ბრძოლაში“. ჩვენმა პარტიამ მომავალი საარჩევნო ბრძოლის დროს უნდა გაგზავნოს მასებში ათიათასობით და ასიათასობით აგიტატორები, ბოლშევიზმით შეიარაღებული, კონსტიტუციისა და ახალი საარჩევნო კანონის ღრმა ცოდნით შეიარაღებული. ეს აგიტატორები ჩვენმა პარტიამ განსაკუთრებით ენერგიულად უნდა ამზადოს ახლა, როდესაც ახლოვდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე.

არჩევნებისათვის მზადებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვითეული საარჩევნო კანონის შეთვისებას, მის ფართო პროპაგანდას, მის განმარტებას ამომრჩეველთა მასებისათვის. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით გადაჭრა სავარძნობოდ უზრუნველჰყოფს თვით არჩევნების წარმატებას, უზრუნველჰყოფს ახალ გამარჯვებებს ლენინ-სტალინის საქმისათვის ბრძოლაში.

„ბოლშევიკი“ № 14.

ჩინეთის ჯარებმა მოსპეს იაპონიის დესანტი

შანხაი, 17 აგვისტო (საქდესი). 16 აგვისტოს დილით იაპონიის მეზღვაურები, ძლიერი საარტილერიო ცეცხლის საფარქვეშ, ცდილობდნენ უსუნში გადმოსხმას. ნახევარი საათის ბრძოლის შემდეგ სადესანტო რაზმი მოსპობილ იქნა ჩინელთა ტყვიამფრქვევების ცეცხლით. იმავე დროულად ჩინეთის თვითმფრინავებმა სასტიკად დაუშინეს ყუმბარები იაპონიის კანონერებს, რომლებიც რეიდზე იმყოფებოდნენ უსუნში.

ჩინეთის საზღვრებზე

შანხაი, 17 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის ჯარებმა ჩრდილოეთ ჩინეთში ხელახლა დაიწყეს შეტევა იაპონიის ჯარების წინააღმდეგ. ბრძოლა ძალზე მწვავე ხასიათს ატარებს. ჩინეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ბაოტინგს, სადაც ჩასულია იაპონიის ჯარების მთავარსარდალი გენერალი ხიროტა. ბაოტინგის ალყაში მოქცეულია 5 იაპონური დივიზია. ბრძოლა ბაოტინგის მახლობლად ძალზე მწვავეა. ჩინეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს აგრეთვე ქალაქ ტანგშანს, სადაც ალყაშია მოქცეული 3 იაპონური დივიზია.

პოლონეთის საკონსულოების დახურვა თბილისსა და ხარკოვში

ვარშავა, 17 აგვისტო (საქდესი). სსრ კავშირის მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დიპლომატიური ღონისძიებების შედეგად საკონსულო ჭილის საკითხზე, პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამა წლის 1 დეკემბრიდან დაიხუროს გენერალური საკონსულო თბილისში და საკონსული ხარკოვში.

ა. ვიშინსკი

ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონი*

არჩევნების ასეთი წესი არა მარტო შესაძლებელია; არამედ აუცილებელიც არის კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულია ექსპლოატაცია და ჩაგვრა.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-7 და მე-8 თავები ლაპარაკობენ კენჭისყრის წესსა და არჩევნების შედეგების განსაზღვრაზე. თვით კენჭისყრის წესს უზრუნველჰყოფს არჩევნების საიდუმლოებას. თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, ჩაგდებს რა საარჩევნო ყუთში ვონვერტში დაბეჭდილ საარჩევნო ბიულეტენს. „არჩევნების დებულება“ პირდაპირ კრძალავს ვისიმეს ყოფნას, მათ შორის სატბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ყოფნასაც, კენჭის ყრისათვის გამოყოფილ განსაკუთრებულ ოთახში. „არჩევნების დებულების“ მე-81 მუხლი სპეციალურად ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ამომრჩეველს, წერაკითხვის უცოდინარობის ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლიან დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს მიიწვიოს ოთახში, სადაც საარჩევნო ბიულეტენების შევსება ხდება, რომელიმე სხვა ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტინის შესავსებად.

განსაკუთრებით საჭიროა შეჩერდეთ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების დროს კენჭისყრის წესის საკითხზე.

„საბჭოთა კავშირი,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—როგორც ცნობილია, არის მრავალეროვანი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის საერთო ინტერესები მთლიოდ კიდებულად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესებს გარდა აქვთ კიდევ თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური ინტერესები, რომლებიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა საბჭოთა კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო“.

დადგენილი საარჩევნო სისტემა მთლიანად შეეფერება ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის პრინციპებს.

ეროვნებათა საბჭოში არჩევნები ხდება მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ავტონომიური ოლქებიდან და ნაციონალური ოკრუგებიდან.

თვითეული ამომრჩეველი მონაწილეობას იღებს დეპუტატთა არჩევნებში მოკავშირე რესპუბლიკიდან (პირველად), დეპუტატთა არჩევნებში მოცემულ მოკავშირე რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკიდან (მეორეჯერ), და დეპუტატთა არჩევნებში მოცემულ მოკავშირე რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიური ოლქიდან (მესამეჯერ).

მაგალითად, ადიგეის ავტონომიური ოლქში ამომრჩეველი მონაწილეობას იღებს ეროვნებათა საბჭოს 5 დეპუტატის არჩევნებში ადიგეის ავტონომიური ოლქიდან, ოგივე მონაწილეობას იღებს ეროვნებათა საბჭოს 25 დეპუტატის არჩევნებში რუსეთის რესპუბლიკიდან, და ოგივე მონაწილეობას იღებენ კავშირის საბჭოს ერთი დეპუტატის არჩევნებში თავის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში, ესე იგი არჩევნებში მონაწილეობას იღებს სამჯერ.

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ამომრჩეველი, რომელიც მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქში ცხოვრობს, ხმას აძლევს ერთხელ კავშირის საბჭოში (ტერიტორიული საარჩევნო ოლქის მიხედვით) და ორჯერ ეროვნებათა საბჭოში (აზერბაიჯანის სს რესპუბლიკიდან 25 დეპუტატის არჩევის დროს და მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქიდან 5 დეპუტატის არჩევის დროს), ესე იგი სულ სამჯერ.

უზბეკთა სს რესპუბლიკაში ამომრჩეველი, რომელიც ყარა-ყალფაქის ასს რესპუბლიკაში ცხოვრობს, ხმას აძლევს სამჯერ: კავშირის საბჭოში (ტერიტორიული საარჩევნო ოლქის მიხედვით) და ეროვნებათა საბჭოში უზბეკთა სს რესპუბლიკიდან 25 დეპუტატის არჩევის დროს და ყარა-ყალფაქის ასს რესპუბლიკიდან 5 დეპუტატის არჩევის დროს.

რაც შეეხება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა კანდიდატთა წამოყენებას, კანდიდატი შეიძლება წამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ ოლქში. ეს პირდაპირ გამომდინარეობს „არჩევნების დებულების“ მე-62 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეიძლება წამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთ ოლქში“.

○

ასეთია ახალი საბჭოთა საარჩევნო სისტემა. ასეთია სსრ კავშირის ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი განსხვავდება განსაკუთრებული სიმარტივითა და გარკვეულობით: მასში მოცემულია პასუხები საარჩევნო კამპანიის ყველა უმნიშვნელოვანეს, ძირითად საკითხებზე. მასში დადგენილია მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთა დაცვა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის უზენაესი ორგანოს არჩევნების დროს საბჭოთა ხალხის ებვასურვილის სწორად გამოხატვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას.

„არჩევნების დებულება“ საფუძვლით უზრუნველჰყოფს სტალინური კონსტიტუციის დიდი პრინციპების განხორციელებას, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების ნამდვილ განხორციელებას ფარული კენჭისყრით, გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის განხორციელებას.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ „არჩევნების დებულების“ პროექტის დამტკიცება მოწმობს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად ემხრობა ამ დიდ დემოკრატიულ კანონს.

არჩევნებისათვის უნდა ვემზადოთ. უნდა ვემზადოთ უკვე ახლა, დაუყოვნებლივ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხის მტრები, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მტრები, არ დააყოვნებენ ისარგებლონ მთავარი საარჩევნო კამპანიით, რათა განაგრძონ ბრძოლა პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით პარტიამ გამომაჯანსაღა და გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სოციალიზმის მოსისხლე მტრების კონტრრევოლუციურ ჯგუფებს—კაპიტალისტურ რესტავრატორებს გერმანია-იაპონიის ფაშიზმის ტროცკისტ-შემარჯვენეებთან ბანდიდან. გაბადგურა რა კონტრრევოლუციური ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენეები და ყველა სხვა ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა ჯგუფები და მიმდინარეობანი, გადალახა რა კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა და განაგრძობს რა დაუნდობელ ბრძოლას ყველა ტროცკისტ-ზინოვიეველ და მემარჯვენე ბანდიტებთან, პარტიამ მიიყვანა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მრავალმილიონიანი მშრომელი მასები სოციალიზმის გამარჯვებამდე.

სოციალიზმის უდიდესი წარმატებანი აღვივებენ კლასობრივი მტრისა და მის ხელშეწყობათა მხეცური სიძულვილისა და გაბოროტებას საბჭოების ქვეყნისადმი. სსრ კავშირის მშრომელთა ავანგარდის — კომუნისტური პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. ეს სიძულვილი აიძულებს მტრებს ჩაიდინონ საშინელი დანაშაულობანი.

„კომუნიზმის მტერთა შეკრების ხროვაში უკანასკნელი ადგილი როდი უჭირავთ ახლა ბატონ ტროცკისტებს, რომლებსაც ერთი მიზანი აქვთ ბურჟუაზიასთან: ამ ადამიანებმა, როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული სახელმწიფოების საამებლად და ბრძანებით ჩაიდინეს უაღრესად ბინძური და უაღრესად საზიზღარი კონტრრევოლუციური საქმეები“.[1]

ტროცკისტ - ზინოვიეველთა ტერორისტული ცენტრის პროცესმა, კემეროვოს პროცესმა, ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის პროცესმა და ტუხაჩევსკისა და სხვ. ბანდის მონაწილე მოღალატეთა პროცესმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს საბჭოთა წყობილებისა და სოციალიზმისადმი შეურიგებელი სიძულვილი, რითაც გამჟღავნებულია კლასობრივი მტერი, რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება და არ თაკილობს არავითარ ბინძურ და საზიზღარ საშუალებებს ხალხის წინააღმდეგ, საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პროცესებმა მთელი მსოფლიოს მშრომელებს დაანახვეს გერმანია-იაპონიის ფაშიზმის პირდაპირი აგენტები — ტროცკისტ - ზინოვიეველი ბანდიტები. ამ ბანდიტებმა

ახალი ცხოვრება

ორგანო ქუთაისის საქალაქო საბჭოსა და ქუთაისის საოლქო კომიტეტის ბოლშევიკთა კავშირისა

ხელმოწერის ფასი: ერთი თვით 1 მან. 80 კაპ., ექვსი თვით 10 მან. 50 კაპ., ერთი წლით 21 მან.

ქუთაისი, ლენინის ქუჩა № 71. ტელეფონები: მთავარი რედაქტორისა 5-42, მისი მოადგილისა 5-12, პასუხისმგებელი მდივნისა 5-13, განყოფილებებისა 5-14, 5-15, 5-16, 5-17, 5-18, 5-19, 5-20, 5-21, 5-22, 5-23, 5-24, 5-25, 5-26, 5-27, 5-28, 5-29, 5-30, 5-31, 5-32, 5-33, 5-34, 5-35, 5-36, 5-37, 5-38, 5-39, 5-40, 5-41, 5-42, 5-43, 5-44, 5-45, 5-46, 5-47, 5-48, 5-49, 5-50, 5-51, 5-52, 5-53,